

N 2351044  
21.06.2022.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს,  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების  
შემსრულებელს, ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს  
მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ იგეგმება 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ რეკონსტრუქცია.

ეგხ „ჩოლურის“ რეკონსტრუქცია წარმოადგენს ლენტეხის ელექტრომომარაგების გაუმჯობესებისა და საიმედოობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ პროექტს, რადგან არსებული მდგომარეობით ელექტრომომარაგება ხდება ერთადერთი 35 კვ ძაბვის ეგხ „მურიო“ და სხვა სარეზერვო კვების წყარო არ არსებობს.

პროექტით იგეგმება არსებული ეგხ-ს 52 საყრდენის გამოყენება და 17 ახალი უნიფიცირებული და სპეციალური კონსტრუქციის საყრდენის მონტაჟი ძველ ადგილზე (ტრასა არ იცვლება).

ელექტროგადამცემი ხაზი იწყება 35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ლენტეხიდან“, საავტომობილო გზის გასწვრივ მიუყვება მდინარე ცხენისწყლის ხეობას და შედის ქვესადგურ „ჩოლურში“.

35 კვ ძაბვის „ჩოლურის“ ელექტროგადამცემ ხაზს მოიცავს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-830; 17/09/2020).

საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

დანართი:

- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;
- 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ჩოლურის“ კოორდინატები (Shp ფაილები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი  
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



შემსრულებელი: ლევან იოსელიანი /ტელ: 577 35 13 97